დამტკიცებულია
სსიპ – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს 2017 წლის 29 დეკემბრის
 # 24/2 დადგენილებით

სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი

მუხლი 1. მიზანი და ამოცანები

1. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (გრაფიკის) შემუშავების მიზანია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების მხარდაჭერა და სწავლის გაგრძელების ხელშეწყობა.
2. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა (გრაფიკი) შემუშავდება:
   ა) სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების გამო,
   ბ) საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმით სწავლის გაგრძელების შეუძლებლობის და განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროების სპეციფიკის გათვალისწინებით;
   გ) სტუდენტების განსხვავებული მოთხოვნების (მობილობით და შიდა მობილობით ჩარიცხული სტუდენტები, უცხოეთში გაცვლით პროგრამაში მონაწილე და უცხოეთში სტაჟირებაგავლილი პირები, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტები, სხვადასხვა პატივსადები მიზეზების გამო პროგრამის გამცდენი სტუდენტები, სხვ.), სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების და აკადემიური მომზადების, აგრეთვე, საგანამანათლებლო პროცესში მათი შეუფერხებელი ჩართულობის უზრუნველსაყოფად.
3. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა (გრაფიკი), აგრეთვე, შეიძლება შეიქმნას უნივერსიტეტის მიერ ინიცირებული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში.
4. კონკრეტულ შემთხვევაში ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (გრაფიკის) შემუშავებისა და დამტკიცებისას გათვალისწინებულია სტუდენტთა მობილობისა (შიდა მობილობის) და სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების დოკუმენტებში განსაზღვრული მოთხოვნები და პროცედურები.
5. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა (გრაფიკი) ითვალისწინებს სტუდენტთა განსხვავებულ მოთხოვნებზე, მათ აკადემიურ მომზადებაზე და სპეციალურ საგანმანათლებლო საჭიროებებზე მორგებულ სასწავლო გეგმას, სწავლა-სწავლების, შეფასების სათანადო ფორმებსა და პირობებს.
6. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (გრაფიკის) შემუშავებისას გათვალისწინებულია სასწავლო პროცესის ადაპტირებულ გარემოში განხორციელების შესაძლებლობა და, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი ადამიანური რესურსით უზრუნველყოფა.
7. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტმა ინდივიდუალური გეგმის შედგენის მოთხოვნით უნდა მიმართოს შესაბამისი პროგრამის განმახორციელებელ ფაკულტეტს.სტუდენტმა განცხადებაში უნდა მიუთითოს სწავლის ხელისშემშლელ ფაქტორ(ებ)ზე; განცხადებას თან უნდა ერთვოდეს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების დამადასტურებელი დოკუმენტი.

8. სტუდენტის განცხადების და თანმხლები დოკუმენტების განხილვის საფუძველზე მიიღება/არ მიიღება გადაწყვეტილება სტუდენტისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (გრაფიკის) შემუშავების და ამ გეგმით სწავლის გაგრძელების შესახებ. ყველა შემთხვევა განიხილება ინდივიდუალურად და გადაწყვეტილება მიიღება ყველა გარემოების შესწავლის საფუძველზე.
9. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების არსებობის შემთხვევაში უნივერსიტეტი შეიმუშავებს, ასევე, სტუდენტის ხელშეწყობის და მხარდაჭერის სხვა ღონისძიებებს (სპეციალური სასწავლო მასალით უზრუნველყოფა, სტუდენტის საჭიროებიდან გამომდინარე მისთვის ოპტიმალური სასწავლო პროცესის დაგეგმვა, სპეციალური კომპეტენციის მქონე პირებთან კონსულტაციები და სხვ.).

მუხლი 2. შემუშავების პირობები და მოთხოვნები

1. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (გრაფიკის) შემუშავება გულისხმობს ინდივიდუალური სასწავლო განრიგის/ცხრილის შედგენას ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სასწავლო კურსის/პროგრამის კომპონენტის სწავლა/სწავლების ოპტიმალური ფორმისა და პირობების შერჩევით და სასწავლო კურსების/პროგრამის კომპონენტების სილაბუსებში მითითებული საკონტაქტო საათების რაციონალურად დაგეგმვით.
2. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება ხორციელდება შემდეგი მოთხოვნების დაცვით:

   ა) წელიწადში სტუდენტის დატვირთვა შეიძლება იყოს 60 კრედიტზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არაუმეტეს 75 კრედიტისა;

   ბ) ინდივიდუალური სასწავლო გეგმა (გრაფიკი) შემუშავდება ერთი სემესტრისთვის და მისი საფუძველია შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა;

   გ) ინდივიდუალური გეგმით (გრაფიკით) სწავლის გაგრძელების შემთხვევაში შესაძლებელი უნდა იყოს სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული მოთხოვნების შესრულება, დაგეგმილისწავლის შედეგების მიღწევა შესაბამისი შუალედური შეფასებებით და დასკვნითი გამოცდით.

მუხლი 3. სტუდენტის ჩართულობა ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებაში და დამტკიცების წესი

1. სტუდენტს გონივრულ ვადებში მიეწოდება ინფორმაცია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (გრაფიკის) შესახებ; ასევე, მას შეუძლია მონაწილეობის მიღება სასწავლო გეგმის (გრაფიკის) შემუშავების პროცესში.
2. სტუდენტთან შეთანხმებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა/გრაფიკი მტკიცდება ფაკულტეტის დეკანის გადაწყვეტილებით.